**ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე**

# როცა ქალაქს სძინავს

პიესა ერთ მოქმედებად

**მოქმედი პირები:**

**სერგო ხავთასი** – ქალაქკომის პირველი მდივანი
**ჯანიკო ქვარიანი** – ჟურნალისტი
**პარმენ კამკამიძე** – ბანკის თანამშრომელი
**გიორგი** – ბავშვობის მეგობარი, ვლადივოსტოკიდან
**ბეგლარი** – მილიციის უფროსი
**ვახტანგი მებუკე** – ექიმი
**ვიქტორ ავალიშვილი** – საშენებლო ორგანიზაციის უფროსი



ქალაქკომის პირველი მდივნის ბინაში ზარი ირეკება. კარს სერგო აღებს.

**გიორგი** – აქ ცხოვრობს ქალაქკომის პირველი მდივანი ამხანაგი ხავთასი?

**სერგო** – დიახ.

**გიორგი** – შეიძლება?

**სერგო** – გოგი, გოგი შე ძველო, როდის ჩამოხვედი?

**გიორგი** – ამ დილით.

**სერგო** – მერე, ვერ შემატყობინე, დაგვხვდებოდი.

**გიორგი** – მშობლიურ ქალაქში ყოველთვის მზვერავივით უნდა ჩამოხვიდე, ამას აქვს გემო. მთელი დღე დავეხეტები ქუჩებში, მხვდებიან ნაცნობები, მე მათ ვესალმები, ისინი კი, მგონი, ვერ მცნობენ და გაოცებით მიყურებენ, ალბათ, ამ წვერის გამო.

**სერგო** – შეგხვდა ვინმე ჩვენებიდან?

**გიორგი** – არავინ. თერთმეტი წელია ერთმანეთი არ გვინახავს, შენი ბიჭი რას შვრება?

**სერგო** – დათო? რა უჭირს. შარშან დაამთავრა საშუალო, შენკენ რა ამბავია?

**გიორგი** – მესამე ქალიშვილი შემეძინა, არ დამიწყო ახლა მოლოცვა? ისე, კაცმა რომ თქვას, სადაა სამართალი, პარმენ კამკამიძეს ორი ბიჭი უნდა ჰყავდეს...

**სერგო** – შენს შემდეგ მესამე შეეძინა.

**გიორგი** – მოთხოვე ახლა ბედისწერას სამართალი. მაგრამ გოგოები მყავს, ერთი მეორეზე უკეთესები – ნათელა, გულიკო და ასმათი. ახლა მეოთხეზეა ჩემი ნატაშა ფეხმძიმედ და თუ კიდევ ქალიშვილი შემეძინა, სიდედრის სახელს დავარქმევ და ამით დავამთავრებ სერიულ წარმოებას.

**სერგო** – ერთი ოჯახში შევიხედო...

**გიორგი** – მოიცა სერგო, ახლა დიდი კაცი ხარ, მაგრამ თუ უხერხული არ იქნება, ბიჭები შევიკრიბოთ და სადმე ქალაქგარეთ გავიდეთ...

**სერგო** – ახლავე აქ გავაჩენ ყველას.

**გიორგი** — ნუ შეწუხდები.

**სერგო** — ათი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს და შენი გაშშვები ვარ აქედან?!

**გიორგი** — მოდი რა, მაშინ მე დავრეკავ, ბიჭებს პატარა სიურპრიზი მინდა მოვუწყო.

**სერგო** — როგორც გაგეხარდება.

**გიორგი** — ქვარიანის ბინაა?.. თქვენ ბრძანდებით?.. ამხანაგმა ხავთასმა გთხოვათ, საჩქაროდ მასთან მოხვიდეთ... დიახ, ბინაში... რა მოგახსენოთ, მე?.. მისი... თანაშემწე ვარ. დიახ (კრეფს ვახტანგის ბინის ნომერს). ვახტანგს სთხოვეთ... მორიგეა? როგორმე დაუკავშირდით და გადაეცით, რომ როგორც კი მოიცლის, სერგო ხავთასთან შემოიაროს რამდენიმე წუთით... არა, ისეთი არაფერია.

**სერგო** — ვიქტორის ტელეფონის ნომერი არ მიწერია. ვიქტორი, ალბათ, არ მოვა.

**გიორგი** — რატომ?

**სერგო** — მე მგონი, არ მოვა.

**გიორგი** — თქვენ რა, უბრად ხომ არა ხართ ერთმანეთთან?

**სერგო** — დღემდე არა.

**გიორგი** — კი მაგრამ, დღეს რა მოხდა?

**სერგო** — მოხდა რაღაც...

**გიორგი** — მაინც? თუ საიდუმლო არაა?

**სერგო** — ისეთი არაფერი. დაურეკე 27-07

**გიორგი** — ავალიშვილის ბინაა?.. ვიქტორს სთხოვეთ... შეუძლოდაა? თქვენ მისი მეუღლე ბრძანდებით?.. ტელეფონთან ვერ მოვა? მაშინ გთხოვთ გადასცეთ, რომ დარეკა მისმა სკოლის მეგობარმა — გიორგი ლეჟავამ; კაპიტანმა, დიახ, დიახ, მე ვარ... გამარჯობათ, თინიკო. ძალიან მინდოდა ვიქტორის ნახვა, სერგო ხავთასთან ვიქნები (თავისთვის.) რაღაც მართლა მომხდარა (უკავშირდება პარმენსაც და სერგოსთან უხმობს)!

**სერგო** — შენი ამბავი მითხარი, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ?

**გიორგი** — ძველებურად ვლადივოსტოკში ვცხოვრობ. უფრო სწორად, ოჯახი მაქვს იქ. ყოველწლიურად ექვსი, შვიდი თვით ოკეანეში ვიკარგები და მუსრს ვავლებ ვეშაპებს. შვებულებით ჩამოვედი თქვენს სანახავად, დასასვენებლად და დროს გასატარებლად.



**ჯანიკო** — (შემოდის) გაუმარჯოს ხელმძღვანელობას!

**სერგო** — აი, მესმის ჟურნალისტების ოპერატიულობა! ელვა ხარ!

**ჯანიკო** — რას მივაწეროთ ამ ღამით ეს პრესკონფერენცია?

**სერგო** — საქმეა.

**ჯანიკო** — მართალია, ჟურნალისტებს უძილო ღამის რაინდებს გვეძახიან, მაგრამ ღამღამობით ჩვენც გვძინავს-ხოლმე, უფროსო.

**სერგო** — ისე შენ რა გითხრა, ისევ სვამ?

**ჯანიკო** — ახლა მარტო ღამურები არ სვამენ. ისიც იმიტომ, რომ დღისით სძინავთ, ღამით კი მაღაზიები და რესტორნები დაკეტილია. ბიძა ჩამომივიდა ჩოხატაურიდან, ისეთი ჩხავერი ჩამომტანა, წავიდეთ რა, ჩემთან!

**სერგო** — მოიცა, საქმეა. საპატიო სტუმარი გვეწვია.

**გიორგი** — გამარჯობათ.

**ჯანიკო** — გამარჯობათ.

**სერგო** — კარგი იქნებოდა, გაზეთში მიგვეცა პატარა ინტერვიუ.

**ჯანიკო** — კი, ბატონო, რატომ პატარა, დიდი იყოს! მეტი რის მოხელე ვარ. შემდეგ?

**გიორგი** — რა, "შემდეგ"?

**ჯანიკო** — 1965 წლის შემდეგ.

**გიორგი** — რატომ 1965 წლიდან?

**ჯანიკო** — იმიტომ, რომ მანამდე ყოველი შენი ნაბიჯი ვიცი, ჰიპივით რომ მოგიშვია ეს წვერი!

**სერგო** — არ გავიდა ნომერი.

**გიორგი** — როგორა ხარ, ჯანიკო?

**ჯანიკო** — ფორმით, როგორც მხედავ, ისე ვარ, შინაარსით კი — დავრჩი არასერიოზულ კაცად, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ შემისრულდა ორმოცდასამი წელი!

**გიორგი** — აფსუს, გუშინ საფრენი ამინდი ყოფილიყო მოსკოვიდან!

**ჯანიკო** — წავიდეთ რა ჩემთან?

**სერგო** — საცაა სხვებიც მოვლენ.

**ჯანიკო** — არ მითხრა, მეორე მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე და უშიშროების უფროსი მოვლენ.

**პარმენი** — (შემოდის) შეიძლება?

**ჯანიკო** — რომ არ შეიძლებოდეს, ქალაქკომის პირველი მდივნის ოჯახში ვინ დაგპატიჟებდა ამ ღამით, ჩემო პარმენ?

**პარმენი** — კარგი ახლა, ნუ იცი შენ ყოველთვის უცნაური ლაპარაკი! სერგეი მიხაილოვიჩ, გამარჯობა.

**სერგო** — პარმენს გაუმარჯოს.

**პარმენი** — გამარჯობა გიორგი.

**გიორგი** — ეს ხალხი ნამდვილად გადამრევს! მთელი წელია ამ წვერს ვუშვებ, ეგებ ვერ მიცნონ-მეთქი, როგორა ხარ, შე ძველო!

**ჯანიკო** — კაცი ყოველდღე მილიონებს რომ ურიგებს სხვებს, თვითონ კი 120 მანეთი ექნება თვეში, წარმოიდგინე ახლა, რანაირად იქნება!

**პარმენი** — შენს მერე ამას ჭკუა არ მომატებია.

**გიორგი** — მე კი მეგონა, ახლა ერთი-ორი წიგნი ნამდვილად ექნება გამოცემული-მეთქი.

**ჯანიკო** — პირველ წიგნს დავწერ შენზე და ვეშაპებზე, ავიღებ ბევრ ფულს, ვითხოვ ცოლს და ხელად დავსერიოზულდები.

**გიორგი** — მახსოვს, ყოველდღე თითო გენიალური აზრით მოდიოდი სკოლაში.

**ჯანიკო** — სხვათა შორის, ამ დილითაც მომივიდა ერთი ფრიად გენიალური აზრი.

**გიორგი** — აბა, აბა.

**ჯანიკო** — რამდენი სიტყვა იქნება ქართულ ენაში? ვთქვათ, ასი ათასი, საკმარისია ეს სიტყვები განალაგო კანონზომიერად, თითოეულ სიტყვას მიუჩინო თავისი ადგილი და გახდები გენიოსი.

**პარმენი** — რა ადვილი ყოფილა გენიოსობა.

**ჯანიკო** — ავიღოთ, მაგალითად, სოკრატე: "მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი" რამდენჯერ გვითქვამს ეს სიტყვები ცალ-ცალკე მე და შენ, პარმენ, მაგრამ ასეთნაირად რომ დაგველაგებინა, გენიოსები ვიქნებოდით.

**პარმენი** — ბედი არ გინდა?!

**ჯანიკო** — ასევე, ცხოვრებაში ადამიანები განალაგო თავიანთი ნიჭის, უნარისა და პატიოსნების მიხედვით, საათივით აეწყობა ეს ცხოვრება.



**პარმენი** — უფრო გასაგებად, თუ შეიძლება.

**ჯანიკო** — უფრო გასაგებად და პოპულარულად ეს ასე იქნება, პარმენ. ჭადრაკში პაიკი რომ მეფის ადგილზე დასვა, კიდევ მხედარს დედოფლობა დააკისრო, გამოვა რამე?

**პარმენი** — ჭადრაკში არ ვიცი, მაგრამ ცხოვრებაში კი გამოდის ხანდახან.

**ვახტანგი** — (შემოდის) კამპანიას გაუმარჯოს!

**ჯანიკო** — ვინც მოვიდა გაუმარჯოს!

**გიორგი** — არ მითხრა ახლა გიცანიო თუ არა, შეიძლება მართლა გადავირიო!

**ვახტანგი** — გიცანი კი არა, მთელი დღეა დაგეძებ. სახლში საგანგებოდ სადილი გავაკეთებინე, სუკები გამოვიტანე ხორცკომბინატიდან, უმად შეჭამ. ერთმა ავადმყოფმა კალმახი მომიტანა, სულგუნებს რძე გასდის პირდაპირ, ქოთანში ამოლესილი ლობიო, ჩვენებურ საჭმელებს მონატრებული იქნება-მეთქი.

**გიორგი** — ხვალამდე არ გაფუჭდება.

**ვახტანგი** — სერგო, გავარდები სახლში და ყველაფერს აქ გადმოვზიდავ.

**სერგო** — არ გინდა, ხვალისთვის შემოინახე!

**ჯანიკო** — ეს რომ კულინარიისოდენა დროს მედიცინას ახმარდეს, რაღა უჭირთ ავადმყოფებს?

**ვახტანგი** — გოგი, მთელი ქვეყანა მოგივლია, ქართველებისთანა პურმარილიანი ხალხი თუ შეგხვედრია სადმე?

**გიორგი** — როგორ გითხრა, მე, ძირითადად, მაინც ვეშაპებს ვხვდებოდი.

**ვახტანგი** — საინტერესოა, ესპანეთში ჩვეულებრივი ლობიო ან საცივი...

**პარმენი**— ბატონო ექიმო, მედიცინიდან არაფერი გაინტერესებთ?

**ჯანიკო** — გოგი, მომიყევი ვეშაპებზე რამე, რა!

**გიორგი** — ვეშაპები მინდა, ბიჭო, მე ახლა? წელიწადში ექვს თვეს მაგათ დავსდევ.

**ჯანიკო** — რედაქტორი ორმაგ ჰონორარს გამომიწერს.

**გიორგი** — რამდენს მაინც?

**ჯანიკო** — ოცდაათ მანეთს.

**გიორგი** — ოცდაათ თუმანს მოგცემ, ოღონდ თავი დამანებე!

**ჯანიკო** — იცოდე სიტყვა სიტყვაა, არ დაგავიწყდეს!

**პარმენი** — ვოგი, მაინც უნდა მოგვიყვე შენი ამბავი და ბარემ ფული გააკეთოს.

**გიორგი** — (სურათს გამოაჩენს) აგერაა ყველაფერი.

**პარმენი** — ნახე ერთი, რამხელა აისბერგია! აისბერგების მოცურებას აპირებენ სამხრეთ აფრიკამდე, გალღობას და უდაბნოების მორწყვასო, "სოფლის ცხოვრებაში" წავიკითხე.

**გიორგი** — არის ასეთი იდეა. ამხელა აისბერგი რამდენიმე წელს ეყოფა საშუალო ქალაქს.

**ვახტანგი** — ე, ბიჭო, მოაცურე ერთი აისბერგი, თუ არა, გავწყდი წელში მეხუთე სართულზე წყლის თრევით.

**ვიქტორი** — (შემოდის) არ გაუშვი ხომ არც ერთი ვეშაპი ანტარქტიდაში!

**ჯანიკო** — ოჰ, ვიქტორ აღმაშენებელიც მოსულა!

**გიორგი** — ვიქტორ!

**ვახტანგი** — აბა, დავაჩქაროთ პატარა, ამდენი დრო სადაა?

**სერგო** — გთხოვთ!

**გიორგი** — ერთი წუთით (სასმელს დგამს მაგიდაზე).

**ჯანიკო** — არ მოგვეჭრა თავი ქართველებს? შენ, ბიჭო, ვლადივოსტოკში ხომ არ გგონია თავი?!

**ვახტანგი** — ისიც ქალქომის მდივნის ოჯახში! ღმერთო, კი მომკალი!

**გიორგი** — ელაპარაკე ახლა ამათ! თქვენ ეს ჭაჭის არაყი ხომ არ გგონიათ, სამეფო ვისკია. ინგლისის პრემიერ-მინისტრი სხვას არაფერს სვამს. ამის ფასად ერთ კოსტიუმს იყიდი.

**ჯანიკო** — კოსტიუმი ჩამოგეტანა, ნამდვილად ავჯობებდა.

**ვახტანგი** — შევარცხვინე მე ინგლისის პრემიერ-მინისტრის გემოვნება! ამას ჩვენებური სანთლის არაყი იყიდის და გაყიდის.

**სერგო** — აბა, თამადის არჩევამდე ამ სასმისით მშობლიურ ქალაქში გოგი ლეკავს ჩამობრძანებას და ჩვენს დახვედრას გაუმარჯოს!

**ყველანი** — გაუმარჯოს!

**ვახტანგი** — ქალაქკომის მდივნის ოჯახში რვა ნომერსაც სულ სხვა გემო აქვს, ჩემო ძმაო!



**ჯანიკო** — მაგას ნომერი აქვს რვა, თუ არა, შიგ მანავის მწვანეა, ვერ ატყობ?

**გიორგი** — სანამ თამადას ავირჩევდეთ, ერთი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ. დღეს ჩემი დღეა და ჩემი წყენინება არ შეიძლება. ყველა თქვენგანს რაღაც საქმე ჰქონდა ამ საღამოს, მე აგრიეთ და შეგყარეთ აქ, ჩვენი ძმისა და მეგობრის — სერგო ხავთასის ოჯახში. დიდია ჩვენი ქვეყანა და არსად არ ვგრძნობ თავს უცხოდ და სტუმრად, მაგრამ ნურავინ დამძრახავს, თუ გული მაინც აქ მიფანცქალებს. სხვანაირად, ამ ბუჩქებში, რომ გავიელი, ამ ცას რომ შევხედავ, თქვენ რომ ვნახავთ! აი, ამას გაუმარჯოს!

**ყველანი** — გაუმარჯოს!

**ჯანიკო** — დაუჯერე ამის შემდეგ მედიცინას, ღამე არ ჭამო, არ დალიო, ნუ მოწევო. ეს კი არაფერს იკლებს და, მგონი, საყვარელიც ჰყავს.

**ვახტანგი** — მე მაგას ავადმყოფებს ვურჩევ, ჩემო ჯანიკო, თუ არა, ჩვენ კიდეც უნდა ვსვათ და კიდევაც ვჭამოთ. აბა, რა შეგვრჩება მეტი. ამიტომაა, რომ დიდი გულისტკივილით გეცლებით ხელიდან. სამშობლო, მოვალეობა მიხმობს.

**გიორგი** — მოიცა, ვახო, ერთი სადღეგრძელო მათქმევინეთ. ჩვენი მერი მინდა გავიხსენო, მარტო მე ვერ დავიტირე ის საცოდავი... შუა ოკეანეში შევიტყვე, ჩემო სერგო, ეს ამბავი. ცოდეაა შენი დათო, ცოდვა. ახლა სჭირდებოდა დედის ზრუნვა და ალერსი... ეჰ, მოკლედ მერის ნათელ ხსოვნას გაუმარჯოს!

**ვახტანგი** — მაპატიეთ, ბიჭებო, სამშობლო, მოვალეობა მეძახის. ალბათ, დიდხანს არ დაიშლებით, კიდევ შემოვირბენ, აბა, დროებით.

**გიორგი** — გელოდებით. ვიქტორ, სიმღერა გვითხარი, ეს საქმე ყოველთვის გეხერხებოდა, მე რომ მიყვარს "გაფრენილო ფუტკარო, წადი გოგონას უთხარი, შენს ვაჟკაცს ბაღში სძინავს, მიდი ნანა უთხარი"....

**ვიქტორი** — მაპატიეთ, მე უნდა წავიდე.

**გიორგი** — კარგი ერთი, თუ ძმა ხარ!

**ვიქტორი** — საქმე მაქვს, გოგი. ხვალ ვნახავ აუცილებლად.

**გიორგი** — ვიქტორ, ძალიან გთხოვ რა, ნუ გამიფუჭებ დღევანდელ ქეიფს.

**ჯანიკო** — არ გამოვა დღეს ჩვენი ქეიფი.

**გიორგი** — რატომ?

**ჯანიკო** — იმიტომ.

**გიორგი** — რა მოხდა, გამაგებინეთ!

**ჯანიკო** — მოხდა რაღაც, რაც ყველამ ვიცით... შენს გარდა, მაგრამ ერთმანეთს ვატყუებთ, რომ თითქოს არაფერი ვიცით.

**პარმენი** — მე არაფერი ვიცი.

**ჯანიკო** — იცი, პარმენ.

**გიორგი** — მერე, მე მიმალავთ, კაცო? სერგო, შენ. მაინც გამაგებინე, რა ხდება აქ?

**ვიქტორი** — მე წავედი.

**ჯანიკო** — შენ არ უნდა წახვიდე, ვიქტორ... და, საერთოდ, მე მგონი, აქ, ახლავე, რაღაც უნდა ითქვას, ითქვას და გაირკვეს.

**სერგო** — არაა აქ ამის ადგილი.

**ჯანიკო** — არა, სწორედ აქაა ამის ადგილი!

**პარმენი** — ნასვამი ხარ შენ ახლა და გეყოფა.

**ჯანიკო** — თუ კაცი ხარ, დღეს მაინც დაანებე თავი მაგ შენს სამშვიდობო პოლიტიკას!

**პარმენი** — აბა, ჩხუბი გვინდა ჩვენ დღეს?

**ჯანიკო** — ჩხუბი კი არა, ზოგიერთ რამეში გარკვევა, სერგო!

**გიორგი** — სერგო!

**სერგო** — ის, რაც მოხდა, მარტო მე და ვიქტორს გვეხება.

**ჯანიკო** — ჩვენც.

**ვიქტორი** — მე ვრჩები.

**სერგო** — ესე იგი, შენც გინდა, რომ აქ ყველაფერი ითქვას!

**ვიქტორი:** — მინდა. იქ შენ მაინც მდივანი ხარ, მე ვალდებული ვარ სახელითა და მამის სახელით მოგმართო, არ დავივიწყო პარტიული დისციპლინა, უფროს-უმცროსობა. აქ კი, ალბათ, რევერანსებზე, ერთმანეთის სიამოვნებასა და წყენინებაზე აღარ ვიფიქრებთ, მერე კიდევ ესენი ჩვენი მეგობრები არიან და არა შენი ხელქვეითები, რომლებისთვისაც შენი სიტყვა და აზრი კანონია.

**გიორგი** — რა მოხდა, გამაგებინეთ?!

**ვიქტორი** — ბიუროზე ჩემი დანიშვნის საკითხი გადიოდა, თითქმის ყველგან იყო შეთანხმებული, ყველა ინსტანციაში, ასეთი



საკითხები, როგორც იცი, უცებ წყდება, სერგომ იკითხა ხომ არავინაა წინააღმდეგიო, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არავინ ყოფილა, მაშინ სერგო წამოდგა და თქვა...

**სერგო** — ბიუროს დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე ჩემთან შემოვიდა კაცი.

**ვიქტორი** — ვიცი ვინც შემოვიდა, ჩემი მეარმატურე — ლადო ლომინაძე.

**სერგო** — იმ ლომინაძემ განაცხადა — ავალიშვილი ბოროტმოქმედია და მე და ის ერთ პარტიაში არ შეიძლება ვიყოთო.

**ვიქტორი** — გვინახავს, ბატონო, სიმართლისთვის მებრძოლი ასეთი ამხანაგები, თუ რამე მოაკელი, ან აწყენინე, მაშინვე თავის ჩამოხრჩობით იმუქრებიან, ანდა ზემდგომ ორგანოებში განცხადების კორიანტელს აყენებენ.

**სერგო** — მან ისიც მითხრა, რადგან ავალიშვილი თქვენი ბავშვობის მეგობარია, ვიცი ვერაფერს გავხდები, მაგრამ მინდა ჩემს სინდისთან მართალი ვიყოო და ქალაქკომის პირველი მდივნის კაბინეტში პარტბილეთი დატოვა.

**პარმენი** — ასეც არ შეიძლება, სერგეი მიხაილოვიჩ, ვიქტორი ხელმძღვანელობს უზარმაზარ ორგანიზაციას, შეუძლებელია ყველა ჰყავდეს მადლიერი. მოდის შენთან რიგითი მუშა და, შეიძლება პირადი ინტერესით, ჩირქს სცხებს ხელმძღვანელს.

**ჯანიკო** — სულ იმას გავიძახით, ეს ქვეყანა მუშისა და გლეხისაა, რომ დაგვჭირდება, მაგათ ვინ ეკითხებაო.

**გიორგი** — რითი დამთავრდა ყველაფერი?

**სერგო** — ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო რაიმე გადაწყვეტილების მიღება.

**გიორგი** — რას აპირებ?

**სერგო** — არ ვიცი... არ ვიცი. მე იმ წუთას გამოვნახე ყველაზე საიმედო და შეიძლება თავის დასაზღვევი სიტყვაც — გადაიდოს-მეთქი.

**გიორგი** — აბა, მე რომ მკითხოთ, სწორედ ის ლომინაძეა დამნაშავე. როგორ, კაცო, პარტიის წევრი, რაღაცაზე თუ ვიღაცაზე გაბრაზებული, ტოვებს პარტბილეთს.

**ჯანიკო** — იქნებ ჯერ გავარკვიოთ, რამ აიძულა ლომინაძე მიემართა ასეთი უკიდურესი ზომისთვის?

**ვიქტორი** — აიშვა ხალხმა თავი და, აჰა, სადამდე მივედით!

**სერგო** — თქვენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით?

**გიორგი** — მე მაინც მგონია, რომ ლომინაძის საქციელი დემაგოგიაა და ყურადღებაც არ უნდა მიაქციო.

**სერგო** — შენ, პარმენ?

**პარმენი** — ჩემგან სწავლისგან ღმერთმა დაგიფაროს, სერგეი მიხაილოვიჩ...

**ჯანიკო** — პარმენ, დაანებე თავი "ვიჩობით" ლაპარაკს. ბიუროზე არა ხარ! მეგობრის ოჯახში ვართ და ძმაკაცი ჭკუას გეკითხება. არ გახსოვს, ალგებრას რომ იწერდა შენგან?

**პარმენი** — არ მახსოვს.

**სერგო** — მე მახსოვს, პარმენ, და არც არასოდეს დამავიწყდება. თქვი!

**პარმენი** — იცი, რას გეტყვი, ჩემო სერგო! არ ღირს ამ საქმის გახმაურება. ათას კუდს გამოაბამენ. ზემოთაც გაიგებენ. ერთი სიტყვით, იმ ლომინაძესთან შეხვედრა და მოლაპარაკებაა საჭირო.

**სერგო** — შენ რას მირჩევ, ჯანიკო?

**ჯანიკო** — აქ რჩევა არ გამოგადგება, არსებობს ერთადერთი გზა, რომელიც მხოლოდ შენ უნდა გამონახო.

**სერგო** — იქნებ შენ თვითონ მირჩევდი რამეს, ვიქტორ?

**ვიქტორი** — საკუთარ თავს მსაჯულად არ გამოვადგები.

**სერგო** — აი, ხომ ხედავთ? მე თქვენ ჭკუა გკითხეთ და ოთხივემ სხვადასხვა პასუხი გამეცით.

**პარმენი** — რამდენი თავიცაა, იმდენი ჭკუაა.

**ჯანიკო** — არა, თავი ცოტათი მეტია.

**სერგო** — ჩემგან კი მოითხოვენ ერთადერთ პასუხს, ყველაზე ჭკვიანურს, ყველაზე სამართლიანს, და ეს მით უფრო ძნელია, რადგან საქმე ჩემი ბავშვობის მეგობარს ეხება, რომლის დავიწყება არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია.

**ჯანიკო** — მაგრამ ამ პასუხს შენგან მარტო ლომინაძე კი არ ელის, არამედ მთელი ქალაქი, ეს ამბავი უკვე ყველამ იცის.

**სერგო** — ვიცი.

**გიორგი** — შემახვედრეთ ერთი ის ლომინაძე. მე გამოვნახავ მასთან საერთო ენას.



**ჯანიკო** — კიდევ დაგრჩა ის ვისკი, მარტო ინგლისის პრემიერ-მინისტრი რომ მიირთმევს უზმოზე?

**პარმენი** — კარგი ახლა, გეყოფა, ეწყობა მგონი ეს საქმე და ნუ არევ ხელმეორედ!

**ჯანიკო** — ა, ძმაო, კაცი, დასვით გენერალური ასამბლეის თავმჯდომარედ და ხელად დაამყარებს შშვიდობას მთელ მსოფლიოში!

**გიორგი** — არავის არ გაგრევთ საქმეში, მე მოვუვლი მაგ ლომინაძეს, ხვალვე მოვა შენთან და უკან წაიღებს იმ პარტბილეთს.

**ჯანიკო** — აბა, შენ იცი, გოგი.

**სერგო** — რატომ არ გინდათ შეიგნოთ, რომ საქმე მარტო ლომინაძეში არაა.

**გიორგი** — აბა, კიდევ ვინაა მოსავლელი?

**სერგო** — მე.

**გიორგი** — შენ რა შუაში ხარ?

**სერგო** — იმ შუაში ვარ, რომ ლომინაძე მართალია!

**გიორგი** — როგორ, მაშ, შენ თვლი რომ ლომინაძე მართალია?

**სერგო** — სიმართლე თუ გინდათ, ასეა.

**ვიქტორი** — აი, აქამდეც მივედით.

**პარმენი** — მერე რას ნიშნავს ეს?

**ჯანიკო** — ეს იმას ნიშნავს, ჩვენო პარმენ, რომ თეთრზე უნდა ითქვას, რომ თეთრია, ხოლო შავზე, რომ — შავია.

**ვიქტორი** — ვერ გავიგე შენი ქარაგმა.

**ჯანიკო** — ეს ქარაგმა არაა, ვიქტორ, ეს ბრალდებაა, რომელსაც შენ გიყენებენ.

**გიორგი** — რა თქვა ასეთი ლომინაძემ იმ ხუთ წუთში შეხვედრით.

**სერგო** — იმ ხუთ წუთში მან მოახერხა დაენახვებინა ჩემთვის ის, რაზეც, ალბათ, წლების მანძილზე თვალს ვხუჭავდი.

**ვიქტორი** — გამოჩნდა კიდევ ერთი ფილატოვი, რომელიც თურმე მხედველობას უბრუნებს ადამიანებს, მე კი ლადო ლომინაძე აქამდე მარტო მეარმატურე მეგონა.

**გიორგი** — სერგო, შენ ყველაფერს არ ამბობ.

**სერგო** – მე რომ მოსამართლე, ან პროკურორი ვიყო, შეიძლება აცილება მიმეცა საკუთარი თავისთვის, მაგრამ განზე გადგომის უფლებაც არა მაქვს და, საერთოდ, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. ჩვენ მეგობარი გვესტუმრა და, როგორც გოგიმ თქვა, ეს საღამო მას ეკუთვნის.

**ჯანიკო** – რაკი დავიწყეთ, იქნებ ბოლომდე ვთქვათ სათქმელი.

**სერგო** – მე არა მაქვს უფლება სუფრასთან მსჯელობის საგნად გავხადო ეს საქმე.

**ჯანიკო** – მაგრამ ჩვენ გვაქვს იმის უფლება, ვიცოდეთ, ვისთან ერთად ვუსხედვართ სუფრას.

**პარმენი** – ჯანიკო!

**ვიქტორი** – აი, ხომ ხედავთ, ჯანიკო ქვარიანსაც კი გაუჩნდა სულიერი მოთხოვნილება, გაერკვეს, ვისთან ერთად უზის სუფრას.

**ჯანიკო** – მეც კი.

**გიორგი** – სერგო, გაგვაგებინე მაინც, რა ბრალი ედება ასეთი ვიქტორს?

**პარმენი** – თუ საიდუმლო არაა, რა თქმა უნდა.

**სერგო** – კეთილი, რაკი ასე გსურთ (წერილს გამოაჩენს).

**ვიქტორი** – იქნებ მეც მაქვს უფლება, ვიცოდე, რას წერენ ჩემზე?

**პარმენი** – ვიქტორ, თქვი რამე!

**ვიქტორი** – რა უნდა ვთქვა?

**პარმენი** – აქ ისეთი რამ წერია შენზე!

**გიორგი** – არ დაგავიწყდეთ, რომ ხელმოუწერელი წერილი ანონიმურია.

**ჯანიკო** – როდის მიიღე ეს წერილი?

**სერგო** – თითქმის ერთი წელია.

**გიორგი** – მერე, ამდენ ხანს?!

**სერგო** – წერილი ანონიმურია და, რაც უნდა ეწეროს შიგ, ასეთი ბრალდებების ხელმოუწერლად თითხნა მაინც უპატიოსნო საქციელად მივიჩნიე.

**ჯანიკო** – გუნებაში კი სულ სხვას ფიქრობდი.

**გიორგი** – რას?

**ჯანიკო** – რაც მას მართლა აწვალებდა.



**სერგო** – რომ რაც მასში წერია, სიმართლეა? ალბათ, ამის თქმა გინდათ?

**ჯანიკო** – დაახლოებით.

**სერგო** – შეიძლება ასეც იყოს.

**ვიქტორი** – ეს უკვე ანონიმს არ ჰგავს და ამ ბრალდებას ხელს აწერს სავსებით რეალური ადამიანი, ისიც ვინ? – პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი სერგო ხავთასი! რაკი არის ბრალდება, საჭიროა თავის დაცვა, ყოველ შემთხვევაში, თავის მართლება. ვინ იქნება პროკურორი, მსაჯულები? საბრალდებო სკამად თქვენი მონა-მორჩილი გამოდგება, ალბათ. ვინ იქნება დამცველი? მაგრამ დამცველი შეიძლება საჭირო არ იყოს, სანამ პროცესი დაიწყებოდეს, ჩვეულებისამებრ, ბრალდებულს ეკითხებიან ხოლმე – გრძნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ, მე კი არ ვგრძნობ თავს დამნაშავედ.

**პარმენი** – აქ ყოველი პუნქტი საბრალდებო აქტივითაა, ვიქტორ.

**ვიქტორი** – მე ოფიციალურად მომმართა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ – დავხმარებოდი საამქროს მშენებლობაში. ამისთვის მათ ნებართვაც ჰქონდათ, ფულიც და ადგილიც. მეც ავაშენე. ეს იყო და ეს.

**ჯანიკო** – ერთ კაცს მეგობარმა ყურში ჩააწვეთა, ცოლი გღალატობსო. ეჭვისგან გონებადაკარგულმა ქმარმა საკუთარი ხელებით დაახრჩო უდანაშაულო ქალი.

**პარმენი** – კარგი ახლა, ჯანიკო, ზღაპრების მოყოლა გვინდა ახლა ჩვენ!

**ჯანიკო** – სხვათა შორის, მე ახლა "ოტელო" მოვყევი.

**გიორგი** – რატომ დაგჭირდა შექსპირის შეწუხება, ჯანიკო?!

**ჯანიკო** – ვიქტორმაც ასევე მოკლედ მოგვიყვა, ამიტომ ზოგიერთ რამეში ვერ გავერკვიეთ. იგი რომ შექსპირივით ცოტა ღრმად ჩასწვდომოდა მის შინაარსს...

**ვიქტორი** – იქნებ შენ მოახერხებ უფრო ღრმად ჩასწვდომას, პროფესიით უფრო ახლოს ხარ შექსპირთან.

**ჯანიკო** – შევეცდები. ამ რამდენიმე წლის წინათ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელები მოვიდნენ შენ-

თან და გთხოვეს დახმარება, აგეშენებინა მათთვის საამქრო, რომელ-
იც გამოუშვებდა სრულიად უბრალო ფართო მოხმარების საქო-
ნელს, სულ რაღაც ორ მანეთად ღირებულ ფერად სინთეტიკურ ჩან-
თებს. მათ ჰქონდათ პროექტი, სახსრები, იშოვეს საჭირო დაზგები,
ადგილიც შეარჩიეს. მაგრამ ეს შშენებლობა არ იჯდა ტიტულში და
სწორედ ამიტომ დასჭირდათ მათ შენი დახმარება. ხომ სწორია?

**ვიქტორი** — დაახლოებით.

**ჯანიკო** — მათ დაასაბუთეს კიდეც, რომ ასეთი პროდუქციის
გამოშვება ხელსაყრელი იყო როგორც მოსახლეობისთვის, ისე წარ-
მოებისთვის.

**ვიქტორი** — დიახ, ასე იყო.

**ჯანიკო** — მაგრამ, შენ ხომ იცოდი, რომ ისინი ზრუნავდნენ
არა ხალხზე, არამედ იმ ათასებსა და ათიათასებზე, რომლებიც მათ
ჯიბეში ჩავიდოდა.

**ვიქტორი** — მე არ ვიცი, რას ფიქრობდნენ ისინი მაშინ.

**ჯანიკო** — ამ წერილის ავტორმა, კი, როგორც ჩანს, იცოდა.
მისი ვარაუდი გამართლდა კიდეც. დღეს ის საქმოსნები საბრალდე-
ბო სკამზე სხედან.

**ვიქტორი** — „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება".

**ჯანიკო** — საქმე ისაა, რომ არც ამ წერილის ავტორს, არც იმ
ლომინაძეს, რომლის პარტიული ბილეთიც ახლა პარტიის ქალაქ-
კომის მდივნის სეიფში დევს, არ სჯერათ, რომ კომუნისტმა ვიქტორ
ავალიშვილმა ეს წინასწარ არ იცოდა.

**ვიქტორი** — არათუ არ ვიცოდი, მე იმათ არც ვიცნობდი, რომ-
ლებიც დღეს ჩადენილი დანაშაულისთვის საბრალდებო სკამზე
სხედან სასჯელის მოლოდინში.

**ჯანიკო** — მჯერა.

**ვიქტორი** — თანაც დარწმუნებული ვარ, რომ იმ საქმეში ჩემი
გვარი არცაა მოხსენიებული.

**ჯანიკო** — ესეც შეიძლება.

**ვიქტორი** — მაშ, რაღა გინდათ ჩემგან!

**ჯანიკო** — ის რომ, არათუ ლომინაძეს და ამ წერილის ავ-
ტორს, არც მე და არც, დარწმუნებული ვარ, აი, ამათ, არ სჯერათ,
რომ შენ ყველაფერი წინასწარ არ იცოდი.



**ვიქტორი** — მე არც გულთმისანი ვარ და არც წინასწარმე-
ტყველი. ჩემთან ყველა საბუთი რიგზეა. ყველა ინსტანციაში დამტ-
კიცებული და ბეჭედდასმული.

**ჯანიკო** — ის ბეჭედი, სახელმწიფო ღერბით, ჩვენს ხელშია,
სამწუხაროდ, მას ზოგჯერ კანონის გასატარებლად კი არა, თავის
დასაზღვევად ვიყენებთ.

**ვიქტორი** — რასაც შენ ამბობ, ეს მხოლოდ სიტყვებია, ადამი-
ანის დადანაშაულებისთვის კი საჭიროა ფაქტები და მხოლოდ
ფაქტები.

**ჯანიკო** — ეს, სასამართლოზე, მაგრამ ჩვენ აქ პროცესი არ
გვაქვს, არც არავინ გვისმენს.

**პარმენი** — რაღაც ნამეტანი ღრმად შეტოპე შენ, ჯანიკო.

**გიორგი** — ისე ღრმად, რომ, მგონი, შექსპირიც კი ჩამოიტოვა
უკან.

**პარმენი** — რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ქურდობა
ყოველთვის იყო და ერთხანს, ალბათ, კიდევ იქნება. იმ ქურდებსაც
დასჯიან და ამით დამთავრდება ყველაფერი.

**ჯანიკო** — არა, ყველაფერი დამთავრდება იმით, რომ მე დავწ-
ერ ამ პროცესზე მოკლე ანგარიშს, იგი დაიბეჭდება მეოთხე
გვერდზე მეტად ორიგინალური სათაურით — "კომბინატორები მა-
ხეში გაებნენ"; რომ დამნაშავეებმა მიიღეს საკადრისი სასჯელი,
ვთქვათ, ათიდან-თორმეტ წლამდე, რისთვისაც მე მივიღებ ჰონორარს
— ათიდან-თორმეტ მანეთამდე. ყველანი ვიქნებით კმაყოფილნი. შეი-
ძლება მეც, თქვენც, მოსამართლეც, პროკურორიც, რომ მართლმსაჯუ-
ლებამ იზეიმა, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი სათქმელი უთქმელი
დარჩება.

**სერგო** — რას გულისხმობ?

**ჯანიკო** — ეს ვაუბატონები გამოეცხადნენ ვიქტორ ავალი-
შვილს და სახელმწიფოს სახელით მისცეს სანქცია ამ ბოროტმოქ-
მედებას.

**სერგო** — ამიტომაც დაისჯებიან.

**ჯანიკო** — რა თქმა უნდა, მათ დაიბარებენ ზემდგომ ინსტან-
ციებში, მაგალითად, პარტიის საქალაქო კომიტეტში დაადანაშაულე-
ბენ გულგრილობასა და უკონტროლობაში და შემდეგ გაიმართება

კამათი, "სასტიკი საყვედური" გამოუცხადონ მათ, თუ "უბრალო საყვედური", პირად საქმეში შეტანით თუ შეუტანლად, ექვსი თვის შემდეგ ეს საყვედური მოიხსნება, არამზადა კვლავ გაპატიოსნდება და ისევ წამოიწყებს ახალ საქმეს ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**გიორგი** – შენ მაინც რა სასჯელს გამოუტანდი?

**ჯანიკო** – ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, იქ, სადაც საპირველმაისო და საოქტომბრო დემონსტრაციები იმართება, გავიყვანდი ყველა ქურდსა და მექრთამეს, ძაღლსა და მამაძაღლს და ხალხის თვალწინ მაგრად გავროზგავდი.

**პარმენი** – კიდევ კარგი, შენ რომ არ გაბარია ეს საქმე.

**ვიქტორი** – ერთი როზგი, ალბათ, ჩემთვისაც გექნება შემონახული.

**ჯანიკო** – შენ წარმოიდგინე, რომ არ მაქვს. იმიტომ, რომ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ალბათ, ყველაფერს, რაც ვთქვი, ვერ ვიტყოდი.

**ვიქტორი** – დაამთავრე?

**ჯანიკო** – ჯერჯერობით.

**ვიქტორი** – ესე იგი, ბოლომდე კიდევ არ გითქვამს სათქმელი. სხვათა შორის, აქ კიდევ სხვაც ბევრი რამ წერია, ვიქტორ ავალიშვილს ბრალად მედება გეგმების ხელოვნურად შემცირება, დაუმთავრებელი ობიექტების ჩაბარება, მკვდარი სულების გაფორმება და კიდევ ათასი ცოდვა. თქვენ ახლა შემომყურებთ და ჩემგან ელოდებით ამ ცოდვების მონანიებას, ან აღშფოთებას, რომ ეს ცილისწამებაა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იმედს ვერ გაგიმართლებთ. მე არც აღვშფოთდები, არც თავს ვიმართლებ და არც ის მაინტერესებს, თუ ვის დაავიწყდა ამ ბარათზე ხელის მოწერა.

**გიორგი** – მაგრამ, ვიქტორ, აქ ისეთი ბრალდებებია, შენ მაინც მოგიწევს თავის მართლება!

**ვიქტორი** – არ ვაპირებ მე თავის მართლებას!

**გიორგი** – მაშინ, როგორ გინდა დაამტკიცო, რომ რაც აქ წერია, ყველაფერი სიცრუეა.

**ვიქტორი** – პირიქით.

**გიორგი** – როგორ პირიქით?



**ვიქტორი** – ყველაფერი სიმართლეა.

**პარმენი** – კარგი, ვიქტორ, შენ თვითონ არ იცი, რასაც ლაპარაკობ!

**ვიქტორი** – თქვენ რა გგონიათ, ყველაფერი, რაც ამ ქალაქში კეთდება, ასე მზამზარეულად მოდის, დაგიგმავენ და მიიღებ, მიწერ და გამოგიგზავნიან, დაავალებ და შეასრულებენ! დიახ, მე დამთავრებულად ვუჩვენე პირველი თორმეტსართულიანი სახლი. და იცით, რატომ? როცა ლიფტები დროზე ვერ მივიღე და კაცი გავგზავნე ცემბირში საქმის დასაჩქარებლად, გამოირკვა, რომ არათუ ლიფტების გამოშვება, იმ ქარხნის მშენებლობაც კი არ იყო დაწყებული. ჩემი კაცი ცემბირიდან ბალტიისპირეთში გავგზავნე, რომ იქ მოეგვარებინა ლიფტების საქმე. ხოლო, როცა ორი მანეთი და სამოცი კაპიკი გეძლევა დღიურად, ძნელია ასეთი საქმის მოგვარება. მე კი ხელი მოვაწერე, რადგან სხვა გზა არ მქონდა. ეს რომ არ მექნა, ალბათ, პირველივე ბიუროზე გამომიძახებდი, ტყავს გამაძრობდი და სასტიკ საყვედურს მომაკერებდი, თუმცა ეს საერთოდ არ მიაჩნია სასჯელად ჯანიკო ქვარიანს და სამაგიეროდ გაროზგას გეთავაზობს. მე ლიფტები მაინც ჩამოვიტანე და შენ წლის ბოლოს კონფერენციაზე თავი მოიწონე ჩვენი ქალაქის პირველი ცათამბჯენით. შეიძლება ვარლვევდე კიდევ რაღაცას, რომ მუშა მყავდეს კმაყოფილი, ურომლისოდაც ვერც გეგმას შეასრულებ და ვერც თავს მოიწონებ, რომ ყველაზე უკეთესი ხარ. ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ.

**სერგო** – იქნებ შენ თვითონ გამოიგონე ცხოვრების ისეთი წესი, რომელიც გაწყობს და თავზე ახვევ სხვებსაც, რომ მერე ხმა მაღლა იძახო, სხვანაირად ცხოვრება შეუძლებელიაო.

**ვიქტორი** – ცხოვრების ასეთი წესისა და მუშაობისთვის მიღებული მაქვს ორდენი, უამრავი ჯილდო და მადლობა. როგორ გინდა ჩაატიო ერთ საქმეში ეს ხელმოუწერელი წერილი და ის საბუთები, რომლებიც სახელმწიფო ბეჭდებითა და უმაღლესი რანგის ხელმოწერებითაა განმტკიცებული.

**გიორგი** – ვიქტორ, შენ ახლა ცოტას აჭარბებ.

**ჯანიკო** – ეს უკვე დემაგოგიას ჩამოჰგავს.

**პარმენი** – ჩვენ ყველამ გადავაჭარბეთ. ისე ვიქცევით, ვითომ აქ მართლა სასამართლო იყოს. ჩვენ ამისთვის არ შეკრებილვართ აქ.

**ჯანიკო** — გაუმარჯოს მშვიდობას, გადავიდეთ სადღეგრძელოებზე!

**პარმენი** — აბა, დავჭამოთ ერთმანეთი!

**ჯანიკო** — ჩემო პარმენ, შენ ახლა იმ ადვოკატივით იქცევი, ერთდროულად მკვლელიც რომ შეუძლია დაიცვას და მოკლულიც.

**ვიქტორი** — არა, თქვენ იქცევით ისე, რომ ერთდროულად დანაშაულიც გინდათ ჩაიდინოთ და პატიოსნებაც შეინარჩუნოთ. წარმოუდგენელია უზნეობას სჩადიოდე და თან უცოდველ კრავად მოგქონდეს თავი.

**ჯანიკო** — ეს ყველას არ ეხება.

**სერგო** — მე გაგაფრთხილეთ, რომ ეს საქმე აქ სალაპარაკო და გასარჩევი არ იყო.

**გიორგი** — მაგრამ ამ ამბის ასე დატოვებაც არ შეიძლება.

**პარმენი** — რას აპირებ, სერგო?

**სერგო** — შეიქმნება კომისია.

**ვიქტორი** — კომისიის შექმნა, საქმის შექმნას ნიშნავს?

**სერგო** — საქმე უკვე შემდგარია.

**ვიქტორი** — გასაგებია, ის კომისია, როგორც ეს ასეთ დროს ხდება, კარგზე თვალებს დაიბრმავებს და რადაც წვრილმანების ჩხრეკას დაიწყებს.

**სერგო** — ეს საქმე, მე მეხება და იმ ლომინაძესაც მე უნდა გავცე პასუხი.

**ვიქტორი** — მაგრამ როგორ გინდა პასუხი გასცე იმ ლომინაძეს, როცა ყველაზე მეტად შეიძლება შენ თვითონ ხარ დამნაშავე?!

**პარმენი** — სულ გაგიჟდა!

**ვიქტორი** — დიახ, მარტო სერგო კი არა, შეიძლება თქვენ, ყველანი!

**გიორგი** — მაშინ ისღა დარჩენილა, დაირეკოს ზარი, შემოვიდეს მილიცია და გამოგვიცხადოს — ყველანი დაპატიმრებული ხართო!

**ბეგლარი** — (ფორმაში გამოწყობილი მოულოდნელად შემოდის) ყველანი დაპატიმრებული ხართ!

**ჯანიკო** — რა დავაშავეთ მაინც, უფროსო!

**ბეგლარი** — მყუდროებას ურღვევთ მოსახლეობას. თქვენი ხმა მილიციაში ისმის.



**პარმენი** — მოგვეჭრა თავი!

**ბეგლარი** — განსაკუთრებით თქვენი, ამხანაგო კაპიტანო, შე უნამუსო, შენ! ქალაქში რომ ჩამოხვალ, ვის უნდა გამოეცხადო პირველად, არ იცი შენ?!

**გიორგი** — ძმობას გეფიცები, ბეგლარ, თუ არ გირეკე! კაბინეტი არ პასუხობდა.

**ბეგლარი** — ნება მომეცით მოგახსენოთ, ამხანაგო მდივანო, რომ ქალაქში სიმშვიდეა, რაიმე განსაკუთრებული არ მომხდარა და არცაა მოსალოდნელი, ამიტომ, თუ ნებას მომცემთ, ცოტა ხნით შემოგიერთდებით.

**სერგო** — ჩამოჯექი.

**პარმენი** — ე, ბიჭო, ჩამოუშვი ხელები, მართლა ხომ არ გიჭერენ!

**ჯანიკო** — ბავშვობიდან მეშინია მილიციის.

**გიორგი** — მაინც როგორ მოგვაგენი?

**ბეგლარი** — აბა, რისი მილიცია ვარ?!

**ჯანიკო** — შენ, ამხანაგო უფროსო, მანქანიდან ტრანზისტორი რომ ამწაპნა, გიჯობს იმ ქურდს მიაგნო ასე ოპერატიულად.

**ბეგლარი** — მაგასაც მივაგნებთ, ჩემო ჯანიკო.

**ვახტანგი** — (ხელმეორედ გამოჩნდა) ჰო, ბატონო, თქვენ აქ დრო ატარეთ, მე კი გიჟივით დავრბივარ ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში.

**ჯანიკო** — სამაგიეროდ, ადამიანებისთვის შეება მოგაქვს, ჩემო ვახტანგ.

**ვახტანგი** — მერე, ვინ მიფასებს! ასეთი ძმაკაცი მაინც არ მყავდეს რედაქციაში.

**ჯანიკო** — ოდესმე დავწერ შენზე სპეციალურ რეპორტაჟს.

**ვახტანგი** — ოჯახის სადღეგრძელო, ალბათ, მიირთვით, მშობლების სადღეგრძელოც, ალბათ, შესვით, დედამამიშვილის სადღეგრძელოსაც, რა თქმა უნდა, დალევდით, მშვიდობის სადღეგრძელო თუ არ დაგილევიათ, დალევთ და დალევთ. რაიმე ხომ არ გამომრჩენია?

**პარმენი** — ზედმეტიცაა მგონი.

**ვახტანგი** — აბა, ამდენ ხანს რას აკეთებდით? ჰო, ჩვენი ძეგობრობის სადღეგრძელოსაც, ალბათ, მიიღებდით... რა მოგვიდათ?

**პარმენი** — პატარა შესვენებასავით გვაქვს.

**ვახტანგი** — მე, ძმაო, დასასვენებლად არ მცალია, გამოძახებაზე ვარ, ქვევით მანქანა მელოდება. ცოტა შემეხვეწეთ, კაცო, სინდისი არ გაქვთ?!

**ჯანიკო** — ჰო, მართლა სინდის-ნამუსის სადღეგრძელო შეისვა კიდევ აქ.

**ვახტანგი** — ე, ბიჭო, თავი არ მომჭრათ, რამე არ გამომრჩეს.

**ჯანიკო** — ისე, გულზე ხელი დაიდე, ვახტანგ, დღეს თუ გააკეთე ფული?

**ვახტანგი** — ბიჭო, ასეთი კითხვა მიიცემა ქალაქკომის მდივნის და მილიციის უფროსის თანდასწრებით. სახეზე ვატყობ, დღევანდელი ნორმა არა აქვს შესრულებული. ბეგლარ, მილიციასაც აქვს გეგმა?

**ბეგლარი** — აქვს და იცოდე, მიფრთხილდი, ერთი კაცი მიკლია ამ თვის გეგმის შესრულებას.

**ჯანიკო** — საოცარია პირდაპირ, ასეთი პურმარილიანი კაცი, როგორ ვერ გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თუ არა, კანდიდატი მაინც.

**ვახტანგი** — მართალია, მაღლაკელიძე აიყვანეს გუშინ, 150 ათასი მანეთი ამოუღიათო, ა, ბეგლარ?!

**ბეგლარი** — მართალია.

**ვახტანგი** — სად ინახავდა მაინც ის უპატრონო ამდენ ფულს!

**ბეგლარი** — ბუხარში ჰქონდა ჩაშენებული.

**ვახტანგი** — სულ ასმანეთიანები უგროვებია თურმე.

**გიორგი** — ახლა ეს მოდაშია, ზოგი მარკებს აგროვებს, ზოგი — კიდევ ასმანეთიანებს.

**ვახტანგი** — თქვენ წამსვლელებს არ ჰგავხართ. დილისთვის დაუკვეთე ხაში მაღალ დონეზე. დილამდე როგორმე გაიტანეთ თავი, ვოგი არ მომიწყინოთ, მე წავედი.

**ჯანიკო** — რა იქნებოდა, მილიციაზე ადრე მე მენახა მაღლაკელიძის ასმანეთიანები.

**პარმენი** — მოპარავდი?

**ჯანიკო** — არა, ვუხათრებდი. „ქურდის ქურდი ცხონდაო". მაღლაკელიძიდან რომ წამეღო ის ფული, რას მიზამდი?



**ბეგლარი** — ათ წელს მიიღებდი დაბარებულივით.

**ჯანიკო** — მაღლაკელიძე?

**ბეგლარი** — მაგი არაა შენი საქმე.

**სერგო** — აბა, ბეგლარ, შენი პროფესიის კაცი სულ ფხიზლად უნდა იყო, მაგრამ ერთი ჭიქა, ვგონებ, არ მოადუნებს შენს გონებას.

**ბეგლარი** — ერთი ჭიქა შეიძლება. გოგი, ამით შენს ჩამოსვლას, ჩვენს დახვედრას და სერგოს ოჯახში ამ სასიყვარულო თავშეყრას გაუმარჯოს. ალბათ, დღეს ბევრი ტკბილი სიტყვა უთხარით ერომანეთს.

**ჯანიკო** — კი, სულ თაფლი ამოგვდიოდა პირიდან.

**ბეგლარი** — ჰოდა, მეც მინდა, რომ ჩემი ხმა შევუერთო თქვენსას. გამაგებინეთ, კაცო, სუფრაზე ვარ თუ ბიბლიოთეკაში! ალარ იტყვით, რა მოხდა?!

**პარმენი** — ალბათ, გაიგებდი, დღეს ქალაქკოშში რაც მოხდა?

**ბეგლარი** — იქ ვიყავი.

**პარმენი** — აბა, ნულარ კითხულობ, რა მოხდაო.

**გიორგი** — შენ რომ გამოგვიცხადე, დაპატიჟრებული ხართ ყველანიო, კაცმა რომ თქვას, ხუმრობასაც არ ჰგავდა.

**ბეგლარი** — ვიხუმრე, აბა, რა ვქენი, კაცო?!

**გიორგი** — შენს მოსვლამდე ვიქტორმა გამოგვიცხადა, ყველანი დამნაშავე ხართო.

**სერგო** — არა, ვიქტორმა ცოტა სხვანაირად თქვა, რომ, პირველ რიგში, ყველაზე მეტად მე ვარ დამნაშავე.

**პარმენი** — შე კაცო, აღელვებულს რაღაც წამოსცდა...

**ჯანიკო** — შეიძლება ვიქტორი მართალიცაა. თუ ხელმძღვანელი ვერ ხედავს, რომ მის გარშემო დანაშაული ხდება, მაშინ იგი ხელმძღვანელად არ გამოდგება, ხოლო თუ ხედავს და მაინც თვალს ხუჭავს, მაშინ იგი თვითონაა ბოროტმოქმედების თანამონაწილე.

**პარმენი** — რას ამბობ შენ, თუ იცი!

**ჯანიკო** — მე არაფერს არ ვამბობ, პარმენ, აგერ გაზეთში წერია ეს.

**სერგო** — კიდევ რა წერია მაგ შენს გაზეთში?

**ჯანიკო** — ყოველივე ის, რასაც ჩვენ ახლა ბრალდებად ვუყენებთ ვიქტორს, კეთდებოდა შენი თანხმობით.

**სერგო** – საინტერესოა.

**ჯანიკო** – სულ ერთია, იცოდი თუ არა იცოდი, რომ დაუმთავრებელი ობიექტები აშენებულად ჩათვალეს, ან რა გზით იშოვეს და ჩამოიტანეს ლიფტები. ეს ხელმძღვანელის დანაშაულიცაა, ყოველ შემთხვევაში, ამას სხვები ხედავდნენ და შენს სახელთან აკავშირებდნენ. შეიძლება სწორედ ამანაც გაუადვილა იმ საქმოსნებს – წასულიყვნენ რისკზე. თუ საჭირო გახდებოდა შეეხსენებინათ ყველა ის დანაშაული, რაც შენს გარშემო მოხდა და ვერ დაინახე, ან დაინახე და თვალი დახუჭე.

**სერგო** – შენ იცი, რამდენი კაცი ცხოვრობს ამ ქალაქში.

**ჯანიკო** – დაახლოებით, ასი ათასი.

**სერგო** – ჰოდა, თქვენ გინდათ რომ ყველას მაგივრად მე ვაგო პასუხი. მე არც ქრისტე ვარ და არც – ანგელოზი, საკუთარი ცოდვებიც მეყოფა.

**ჯანიკო** – მაგრამ ის ასი ათასი კაცი შენ შემოგყურებს, თანაც ჩვეულებრივი თვალებით კი არა, გამადიდებელი შუშით. პარმენმა რომ ათი, ან, თუ გნებავთ, ასი მანეთი გადააყოლოს, ან დააკლოს ვინმეს, ეს არაა დიდი უბედურება, მაგრამ შენი ყოველი შეცდომა, პარტიის შეცდომაა, შენს საქციელზე დამოკიდებულია ხელისუფლების ავტორიტეტი. შეიძლება იმ ლომინაძეს არასოდეს არ გადაუდგამს ფეხი ამ ქალაქიდან და არც იცის, თუ რა ხდება სხვაგან – კიევში, სამარყანდსა და ვლადივოსტოკში. იგი აქ უნდა ხედავდეს ყოველივე ამას და თავისი ნაბიჯი შენ უნდა აგიწყოს.

**სერგო** – სხვათა შორის, სერგო ხავთასი თქვენსავით ადამიანია, რომელსაც უნდა თავისუფლად ცხოვრება, სურვილისამებრ შვებულებაში გასვლა, დროს ტარება, სხვა ქალისთვის თვალის შევლებაც, მაგრამ ვერ გავაკეთებ ამას. თქვენ ყოველივე ამის უფლება გაქვთ. შენ შეგიძლია სადაც მოგესურვება და როდესაც მოგესურვება, მოყვე ანეკდოტი და, საყვედური კი არა, მოწონებაც დაიმსახურო, რადგან არასერიოზული კაცის სახელი დაირქვი და ყველაფერი გეპატიება, ასე ცხოვრება, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესო და ადვილია. მე კი იმიტომ, რომ ყველა შემომყურებს, საკუთარი შვილი ვერ მოვაწყვე უმაღლესში, თუმცა ამისთვის საკმარისი იყო ერთ კაცთან ერთხელ დარეკვა, ერთადერთი ქულის მოტება, მაგრამ მე ვერ გავაკეთე ეს, სწორედ იმიტომ, რომ ასი ათასი თვალი შემომყურებს და თქვენ გგონიათ, ეს ძალზე ადვილია? მაგრამ ვიქტორმა მოახერხა მისი ვაჟი მოეწყო უმაღლესში ისე, რომ წარბიც არ შეუხრია!

**ვიქტორი** – აი, სწორედ ეს ვერ მოგინელებია შენ და ვერც მოინელებ, ვინაიდან ჩვენ, ორივენი, უპირველეს ყოვლისა, მშობლები ვართ. დიახ, შენი დათო ვერ მოეწყო ინსტიტუტში, ჩემი გია კი სტუდენტია. შენც შეგეძლო დახმარებოდი დათოს, მაგრამ არ გააკეთე ეს, რადგან ვაჟიშვილიც კი საკუთარ კარიერას ანაცვალე! თანამდებობის დაკარგვისა შეგეშინდა. მაგრამ შენ კი ძალიან კარგად იცი, რომ ყველა იმ შენი უფროსების შვილები მოსკოვში და უცხოეთში სწავლობენ.

**ბეგლარი** – ვიქტორ, უნამუსობაა, რასაც ახლა შენ ამბობ!

**ვიქტორი** – განა შენ ეს ანონიმური წერილი იმიტომ დამალე, რომ ჩემზე ზრუნავდი, საკუთარ თავს უფრთხილდებოდი, დიახ, საკუთარ თავს და სკამს. თუმცა ეს სკამი უფრო პატარა იყო. ხომ არ გგონია შენს გამოგზავნილ კომისიას იმის მტკიცებას დაეუწყებ, რომ ამ წერილში წამოყენებული ბრალდებები ცილისწამებაა და მოვითხოვ მისი ავტორის მოძებნას და დასჯას. მე ის ბავშვთა საავადმყოფო და თორმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი მართლაც დაუმთავრებლად მივაღებინე კომისიას, ძალიან გამიჭირდა მაგრამ მივაღებინე, ამით ქალაქმა მშენებლობის გეგმა შეასრულა, იმ წელს გარდამავალი დროშა და პირველი პრემია მივიღე და განა ეს მარტო ჩემთვის გავაკეთე? შეიძლება უფრო მეტად – შენთვის. შენ მეორე მდივანი იყავი და სწორედ მშენებლობას ხელმძღვანელობდი და ვინაიდან იმ წელს ჩვენმა ქალაქმა გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, პირველ მდივნად დაგაწინაურეს.

**ჯანიკო** – პირველმა მდივანმა ასეთი დამსახურებისთვის შენი დაწინაურება მოინდომა, და ასეც მოხდებოდა, ლომინაძე რომ არა...

**სერგო** – ტყუილია ეს!

**ვიქტორი** – არ მითხრა ახლა, თითქოს არ იცოდი, როგორ შევასრულე იმ წელს მშენებლობის გეგმა.

**სერგო** – მე ყოველთვის მეგონა, რომ შენი საქმე შენს დანაშაულზე უფრო მაღლა იდგა, თურმე ვცდებოდი.

**ვიქტორი** – ასე, რომ უმჯობესი იქნება, თუ ის კომისია მუშაობას დაიწყებს შენი შემოწმებით, ხოლო შემდეგ...

**პარმენი** – უნამუსო ხარ შენ, ვიქტორ!

**ვიქტორი** – ეს შენა ხარ, პარმენ!

**პარმენი** – მე ვარ და გიმეორებ, უნამუსო და თახსირი ხარ შენ!

**ვიქტორი** – როდის შემდეგ ამოიღე ხმა, გაჭირვებულო პარმენ!

**პარმენი** – ძალიან გვიან, ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ უნდა მეთქვა შენთვის, რომ უსინდისო ხარ, არამზადა და ყაჩაღი! მაგრამ თავის დროზე ვერ გითხარი, ვერ მოვახერხე, ვერ გავბედე ეს და მე მრცხვენია ჩემი სიმხდალის, სილაჩრისა!

**ვიქტორი** – შენც გაერიე მარაქაში ხომ, შენც ხომ არ აპირებ ჩემს გასამართლებას?

**პარმენი** – ვაპირებ...

**ვიქტორი** – მაინც რა გაინტერესებს, ან რა გინდა ჩემგან, საწყალო პარმენ?

**პარმენი** – მე არც არაფერი მაინტერესებს და არც არაფერი მინდა შენგან. მე უკვე ვიცი, რატომ არ შემოდის ის ათთუმნიანები ბანკში, მაღლაკელიძეს რომ უპოვეს ბუხარში. წინათ ერთი კაცი რომ გაეძარცვა, სამი შეიარაღებული, პირახვეული ბანდიტი უნდა დახვედროდა ღამით ულრან ტყეში, ახლა შენისთანები დღისით, მზისით, ყველას დასანახად, ასობით, ათასობით ადამიანს ძარცვავენ და ამას აკეთებენ უიარაღოდ, უფრო მეტიც, პარტიის სახელით! ნუ რევთ პარტიას თქვენს ბინძურ საქმეში...

**ბეგლარი** – კარგი, დამშვიდდი, პარმენ!

**პარმენი** – მილიციის უფროსი ხომ ხარ შენ? მერე? მოჰკიდე ხელი და წაიყვანე, სადაც მისი ადგილია? ვერაფერს ხედავ, არაფერი არ იცი ხომ? ნომენკლატურული ყაჩაღია არა, მაინცდამაინც, დანაშაულზე უნდა წაასწრო?

**ვიქტორი** – მერე, ამდენ ხანს სად იყავი, ჩვენო პატიოსანო პარმენ? ოცი წელი ინახე ეს სათქმელი? დღევანდელი ჩვენი შეხვედრა რომ არა, იქნებ სამარეშიც ჩაგეტანა ეს საიდუმლო, მე კი არაფერი მეცოდინებოდა და სხვებთან ერთად ცხარე ცრემლებით დავიტირებდი ჩემი გულითადი მეგობრის ცხედარს.



**გიორგი** – გეყოფა, ვიქტორ!

**ვიქტორი** – არა, არ მეყოფა! ცხოვრობს თურმე ამქვეყნად ასეთი კაცი, პარმენ კამკამიძე, რომლის არსებობა რამდენიმე კაცმა ვიცით მხოლოდ; ცხოვრობს თავისთვის, უჩინრად, წყნარად, ამ დროს კი ქვეყნად თურმე უსამართლობა ხდება და ოცი წელი სჭირდება იმისთვის, რომ გაბრაზდეს და ხმა აღიმაღლოს სამართლიანობის დასაცავად. რა ადვილია ასე ცხოვრება!

**გიორგი** – ისე, კაცმა რომ თქვას, ვიქტორი მართალია.

**პარმენი** – რატომაა მართალი?!

**გიორგი** – მართლაც უპატიოსნობაა ასეთი ცხოვრება.

**პარმენი** – როგორი ცხოვრება?

**გიორგი** – ხარ შენთვის, ვითომ პატიოსნად ცხოვრობ, არ იპარავ, არავის უჩივი, ქუჩას დადგენილ გადასასვლელზე გადადიხარ, დროზე იხდი ბინისა და ტელეფონის ქირას, ხოლო გარშემო, რაც არ უნდა ხდებოდეს, ვითომ შენ არც გეხება.

**პარმენი** – მაგას ჩემზე ამბობ?!

**გიორგი** – საერთოდ ვამბობ.

**ჯანიკო** – შენზე ამბობს, პარმენ.

**პარმენი** – ჩემს ცხოვრებაში არავისთვის არაფერი წამირთმევია, არავისთვის მიწყენინებია, არავინ შემიწუხებია, კაცისთვის უბატონოდ ხმა არ გამიცია...

**ჯანიკო** – ზოგჯერ დუმილი უფრო მეტი ბოროტმოქმედებაა, ვიდრე დანაშაულის ჩადენა.

**პარმენი** – მე ვარ ბოროტმოქმედი, შენ მეუბნები ამას, ჯანიკო?

**ჯანიკო** – აგერ გაზეთში წერია ასე.

**პარმენი** – სერგო, შენ მაინც გამაგებინე, რა უნდათ ჩემგან?!

**სერგო** – კარგი პარმენ, დამშვიდდი, არაფერი არ უნდათ შენგან, შენ რა შუაში ხარ?

**პარმენი** – შენ მაინც უნდა არჩევდე მტყუანსა და მართალს, პატიოსანსა და დამნაშავეს.

**ჯანიკო** – ნუ გეშინია მტრისა, უფრო გეშინოდეს გულგრილობისა, ასეთ ადამიანთა მდუმარე თანხმობით ხდება ამქვეყნად უბედურებაც, მკვლელობაც, ღალატიც და სხვა ბოროტება.

**ბეგლარი** – თუ ძმა ხარ, მიჩვენე ერთი რა გაზეთია ასეთი, ამდენი სიბრძნე ერთ ნომერში რომ წერია.

**ვიქტორი** – მეხსიერება თუ არ მღალატობს, სხვათა შორის, შენი ლოცვა-კურთხევაც ერია იმ საქმეში, დღეს რომ ბრალდებად წამოიყენეს.

**პარმენი** – რა საქმეში?

**ვიქტორი** – ის საწარმოო რომ ამეგო, ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელებს მე ბანკის სანქცია მოვთხოვე და მიჩვენეს კიდეც საბუთი, რომ ნება ეძლეოდათ საბავშვო ბაღისთვის გამოყოფილი თანხა საამქროს ასაგებად გამოეყენებინათ. საბუთებზე შენი ხელწერა იყო, პატიოსანო პარმენ.

**პარმენი** – მე მმართველის ბრძანებას ვასრულებდი.

**ვიქტორი** – მე ვის ბრძანებას ვასრულებდი, ორივე უკანონო ბრძანებას ვასრულებდით.

**პარმენი** – მე არ მქონდა განკარგულების შეუსრულებლობის უფლება.

**ჯანიკო** – მაგრამ შენ გქონდა ხმის ამოღების უფლება. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ის, რაც შენ დღეს უთხარი ვიქტორს, მართლაც ოცი წლის წინათ უნდა გეთქვა. მაშინ ექნებოდა ამას ფასი. შეიძლება მეც ასე უნდა მოვქცეულიყავი. ტყუილად ფურცლავ მაგ გაზეთს, ბეგლარ, რაც მე აქ ვოქვი, არაფერი მაგდაგვარი არ წერია მანდ. ყოველივე ეს მეც ადრე უნდა მეთქვა.

**ბეგლარი** – წასვლის დროა.

**გიორგი** – მოიცა, ბეგლარ, ჩვენ რომ ახლა აქედან ასე წავიდეთ, მორჩა ჩვენი შეგობრობა და შეიძლება აღარასოდეს დამებადოს აქ ჩამოსვლის სურვილი. ამაზე ძვირფასს ცხოვრებაში მე, ალბათ, ვერაფერს დავკარგავ.

**სერგო** – კარგი, გოგი, დღეს შენ ჩვენი სტუმარი ხარ.

**გიორგი** – არა, მე სტუმარი არ ვარ, ჩვენ ყველანი მეგობრები ვართ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ ძალიან დიდხანს ვიკვებებოდით ბავშვობის მოგონებებით, როცა ერთმანეთს ვგავდით და ყოველი ჩვენი დანაშაული ცელქობად გვეთვლებოდა. მაგრამ ახლა ვხედავ, რაღაც გაიბზარა ჩვენს შორის, რისი გამთელებაც მხოლოდ ჩვენვე შეგვიძლია. ამიტომ უფლება არ გვაქვს, ერთმანეთს ვეპირფერეთ და არ ვუთხრათ სიმართლე.



**ბეგლარი** – მე სიმართლის არ მეშინია და მზად ვარ მოგისმინოთ. ვინ იქნება ბრალმდებელი?

**ვიქტორი** – ალბათ, ჯანიკო ქვარიანი...

**ჯანიკო** – ხომ გითხარით, მე ბავშვობიდან მეშინია მილიციის-მეთქი.

**სერგო** – მე გაგაფრთხილე, რომ ის, რაც დღეს მოხდა გვეხება მე და ვიქტორს.

**ჯანიკო** – არა, სერგო, ის, რაც დღეს მოხდა, ყველას გვხვდება, მადლობა ღმერთს, დღეს პირდაპირ ვუთხარით ერთმანეთს.

**ბეგლარი** – ჩემთვის არ გითქვამთ.

**პარმენი** – მე გეტყვი.

**ჯანიკო** – მე რომ ექიმი ვიყო, ხმის ამოსაღებად ზოგიერთებს ღვინოს გამოვუწერდი, თითო ბოთლს, ყოველი კრების და კონფერენციის წინ. მიდი, პარმენ.

**პარმენი** – შეიძლება მე ახლაც გუშინდელ სათქმელს ვამბობდე, მაგრამ მაინც ვიტყვი. კლიმენტი ალავიძეს შენ იცნობ, ბეგლარ?

**ბეგლარი** – ეს რომელი ალავიძეა?

**პარმენი** – ერთი იმათგანი, ორმანეთიანი ხელჩანთებით რომ გამდიდრდა.

**ბეგლარი** – ვიცნობდი შორიდან. ისე, როგორც თქვენ, ყველანი.

**პარმენი** – მე მაინც, ალბათ, ყველაზე უკეთესად ვიცნობ, ყურის მეზობელია. შენც და მეც, ბეგლარ, კარგად უნდა გვცოდნოდა, რა გზით გამდიდრდა ალავიძე.

**ბეგლარი** – ჩემო პარმენ, სანამ კაცს დანაშაულზე არ წაასწრებ, პატიოსანია.

**პარმენი** – მე კიდევ მყავს ერთი მეზობელი – შოთა გვარამაძე.

**ბეგლარი** – ეს რომელი, ასფეხა?

**პარმენი** – ჰო, ასფეხა. ორჯერ რომ იყო ნასამართლევი ქურდობისთვის. ბოლოს მოჭკვიანდა და მოინანია. მოხუცებული დედის გულისთვის გააკეთა ეს. დავუჯერე და სამუშაოზეც მოვაწყვე. ერთ ღამეს იმ ჩემი მეზობლის, იატაკქვეშა მილიონერის, კლიმენტი ალავიძის ბინა გატეხეს და ოქროები წაიღეს. კლიმენტიმ ხელი შეაბა

გვარამაძეს დაადო. თქვენც ბევრი კვლევა-ძიება არ დაგიწყიათ, მაშინვე დააპატიმრეთ. გახსოვს, მოვედი შენთან და გითხარი, გარწმუნე, არაა ის ბიჭი დამნაშავე-შეთქი, არ დამიჯერე. ექვსი თვე იჯდა, მერე ნამდვილ ქურდს მიაგნეს და შოთა გამოუშვეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. დედამისი შვილის ჯავრს გადაჰყვა. ვარ თუ არა მართალი?

**ბეგლარი** – არ ვიცი, შეიძლება... შეცდომისგან არავინაა დაზღვეული.

**პარმენი** – არა, ეს შეცდომა არ იყო, გაუხსნელი საქმე არ გინდოდა დაგრჩენოდა. სინამდვილეში კი შენ ჩემზე უკეთესად იცოდი, რომ დასაჭერი სწორედ ის ალავიძე იყო.

**ბეგლარი** – მარტო ამით არ გაიზომება ადამიანის სინდისნამუსი!

**ჯანიკო** – იცი შენ, რა არის სინდისი?

**ბეგლარი** – შენოდენა შეიძლება არ ვიცით, ჩემო ჯანიკო, მაგრამ ისე, ზოგადი წარმოდგენა კი გვაქვს.

**ჯანიკო** – ზოგადი წარმოდგენა არ ჰყოფნის სინდისს. შუა ზღვაში რომ ხარ, ნავში, და თევზაობ, ირგვლივ არავინ და არაფერია წყლის გარდა, ბადეს რომ ამოიღებ, გაზომავ თევზს, ნორმაზე პატარა შეგხვდება და ისევ გაუშვებ წყალში, ესაა სინდისი და პატიოსნება. საკუთარი თავის წინაშე რომ დგახარ მარტოდმარტო, ცდუნების წინაშე, და რაც არ უნდა დანაშაული ჩაიდინო, შეგრჩება ხახვივით, მაგრამ მაინც, რაღაც თუ ვიღაც, გენებია ეს თუ სხვა უხილავი ძალა, არ გაძლევს ამის უფლებას, აი ესაა სინდისი და პატიოსნება.

**გიორგი** – რაკი თევზებზე ჩამოვარდა სიტყვა, ესე იგი, ჩემი რიგიც მოვიდა.

**პარმენი** – კარგი ერთი, გოგი.

**გიორგი** – გისმენთ, რომელი ხართ ბრალმდებელი?

**ვიქტორი** – არ გვეყოფა, რაც ვესიყვარულეთ ერთმანეთს?

**გიორგი** – ჩვენ, ყველანი, ერთნაირი უფლებებით ვსარგებლობთ.

**სერგო** – ჩვენ შენს შესახებ რა უნდა ვიცოდეთ, გოგი, ათ წელიწადში ერთხელ გამოგვეცხადები.

**ჯანიკო** – მე ვიცი.



**ბეგლარი** – რა თქმა უნდა, ჯანიკომ ყოველთვის ყველაფერი იცის.

**ჯანიკო** – გოგი, ერთი ეს მითხარი, ვეშაპების რაოდენობა ხომ სულ უფრო მცირდება.

**გიორგი** – სხვათა შორის, შესამჩნევად იკლო.

**ჯანიკო** – რისი ბრალია ეს?

**გიორგი** – როგორ გითხრა... მიზეზი ბევრია.

**ჯანიკო** – პირველ რიგში, ალბათ, ადამიანებია ამის მიზეზი.

**გიორგი** – შეიძლება...

**ჯანიკო** – რამდენადაც ვიცი, არსებობს კანონი, რომ ოცდამეთექვსმეტე პარალელამდე, ციმფერი ვეშაპიც რომ შეგხვდეს, მისი მოკვლა არ შეიძლება.

**გიორგი** – არის კონვენციაში ასეთი მუხლი.

**ჯანიკო** – არის თუ არა პერიოდი, როცა ვეშაპებზე ნადირობა აკრძალულია?

**გიორგი** – არის.

**ჯანიკო** – იღრვევა თუ არა კონვენცია?

**გიორგი** – ზოგჯერ.

**ჯანიკო** – ჰოდა, ჩემო ძმაო, როცა მე ამის შესახებ ვკითხულობ, რატომღაც მგონია, რომ ამ კონვენციას სულ შენ არღვევ.

**გიორგი** – შე კაცო, ჩემს გარდა ოკეანეში ასობით გემი იჭერს ვეშაპებს.

**ჯანიკო** – ეს მე არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ეს დანაშაული შენს გვერდით ხდება. როცა მე მესმის, ექიმმა ავადმყოფს ოპერაცია არ გაუკეთა უფულოდო, სულ მგონია, რომ ლაპარაკია ჩემს მეგობარზე, ვახტანგზე. იქნებ ეს სასაცილოცაა, მაგრამ რა ვქნა, მე ასე მგონია.

**ვიქტორი** – აქ პროკურორივით რომ ჩამოგვირიგე ბრალდებები და სასჯელები, იქნებ შენც დამჯდარიყავი, ცოტა ხნით ამ სკამზე.

**ჯანიკო** – რატომაც არა. მხოლოდ ერთი პირობით, მე თვითონ ვიქნები საკუთარი თავის ბრალმდებელი. ძნელი ყოფილა საკუთარი თავის გამეტება. ნუთუ მართლა ასეთი იდეალური პიროვნება ვარ, რომ ვერავითარი ნაკლი ვერ აღმოვაჩინე საკუთარ თავში.

**ვიქტორი** – იქნებ დღეს მაინც იქნები ცოტა სერიოზული.

**ჯანიკო** – აი, ვიქტორმა უკვე წამოაყენა ბრალდება. ვარ არასერიოზული კაცი, თანაც არაფერი არ ეშველება ამ საქმეს. როგორც ჩემი მეგობარი მაიაკოვსკი ამბობს...

**ვიქტორი** – სხვათა შორის, შენი მეგობარი მაიაკოვსკი შენი ხნისა, ცოცხალი აღარ იყო და ტომები დაგვიტოვა, შენ კი მთელი ცხოვრება...

**ჯანიკო** – თავი იმითღა შეიძლება დავიმშვიდო, რომ მაიაკოვსკიც კაი აცვენილი იყო და ცოტათი წაიხულიგნებდა კიდეც, ხოლო ჩვენს სასიქადულო მგოსანს – აკაკის ძალიან უყვარდა ანეკდოტები... ჰო, მართლა ერთი ანეკდოტი მომაგონდა.

**ვიქტორი** – შენ იმიტომ არ ზიხარ მაგ სკამზე, რომ ანეკდოტები ვისმინოთ. ყველას საქმეში რომ ჩაჩარე ცხვირი...

**ჯანიკო** – რას იზამ, მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო მეტიჩრული პროფესია, ალბათ, ჟურნალისტობაა, ჟურნალისტმა ყველგან უნდა ჩაყოს ცხვირი, თუ საჭირო იქნა, ყველაზე ხმამაღლა იყვიროს. დიახ, მე უნდა მეყვირა, რომ ალავიძესა და კომპანიას მხოლოდ ერთადერთი სურვილი ამოქმედებდათ, რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ ხალხისა და სახელმწიფოსთვის. მე კი ინფორმაციებს ვწერდი, თუ როგორ ფართოვდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ასევე, გუნდრუკს ვუკმევდი ვიქტორის ორგანიზაციას, ჩვენი ქალაქის ულიფტო მაღლივ შენობებს, "ცათამბჯენები" რომ ვუწოდე. რედაქტორს ისე მოეწონა, რომ ორმაგი ჰონორარი გამომიწერა. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „ადამიანი" ამაყად ჟღერს და ყველაზე გონიერი არსებაა, მაინც ძნელია საგნებსა და მოვლენებს თავიანთი სახელი უწოდო, მაშინაც კი, როცა ეს შენი უპირველესი მოვალეობაა. მე უნდა შემეხსენებინა, რომ ასე ხელმძღვანელობა არ შეიძლება, მაგრამ ვერ ვთქვი ეს. დღეს ერთმანეთს გული გადავუშალეთ, მაგრამ ყველაფერი ეს ხდება ღამით, გამოკეტილ ოთახში და ეჭვი მეპარება, აქედან გასული, როგორ მოვიქცევით. მე მაგალითად, არ მჯერა, რომ ვიქტორი შეცვლის თავის ცხოვრებას.

**ვიქტორი** – ეს ცხოვრება მე არ შემიქმნია და ვერც შევცვლი მას. სხვათა შორის, მე მარტო კი არ ვცხოვრობ ამქვეყნად, არამედ ვაშენებ ქალაქს, ეს კი ცოტათი უფრო ძნელია, ვიდრე ანეკდოტე-



ბის მოყოლა, პლენუმებსა და კონფერენციებზე მოხსენებების კითხვა.

**ჯანიკო** – შენ აშენებ ქალაქს, მაგრამ ანგრევ უფრო მეტს და ძვირფასს, ვიდრე ის კინოთეატრი, ან კიდევ თორმეტსართულიანი სახლია. ისეთნაირად ცხოვრება კი არ უნდა ლომინაძეს, სხვებს, ძალიან ბევრს, უმეტესობას, ვინაიდან, როდესაც ეს გრძელდება დიდხანს, წლების მანძილზე, როდესაც ცხოვრების ასეთი წესი კანონდება, იწყება გულის გატეხვა, რწმენის დაკარგვა. რწმენის დაკარგვა კი რაიმე ნივთის დაკარგვა არაა, რომელსაც მეორე თვის ხელფასით ისევ შეიძენ. ჩვენ უარი ვთქვით ღმერთსა და რელიგიაზე. დავგმეთ კულტი, ვიწამეთ ადამიანი, მისი იმედით ვსახავთ გრანდიოზულ მიზნებსა და გეგმებს. რწმენადაკარგული კაცი კი ამ საქმისთვის არ გამოდგება. ჩვენ შვილებს სუფთა ხელებით უნდა გადავცეთ ესტაფეტა. არ მიყვარს ეს სიტყვა - ესტაფეტა, მაგრამ ეს ასეა. არ შეიძლება პერიოდულად თვალი მოავლო განვლილ გზას, ხელაღებით უარყო წარსული, აღიარო შეცდომები და ადანაშაულო სხვა ვიღაც, როცა, პირველ რიგში, ჩვენ, ყველანი, ვართ დამნაშავე. შეიძლება ამიტომაც მიმართა ლომინაძემ უკიდურეს ზომას, რომ გამოეფხიზლებინა სხვები, ჩვენ, ყველანი, პირველ რიგში, კი ამხანაგი სერგო ხავთასი, რომელიც იმიტომ კი არ ზის ამ ქალაქში პირველ სკამზე, რომ იქიდან შავ "ვოლგაში" გადაჯდეს, ზოგჯერ ხალხის სახელით ვალდებულებები იკისროს და მერე მათი შესრულებისთვის მადლობა და ორდენი მიიღოს, ხოლო შეუსრულებლობისთვის სხვებს ტყავი გააძროს. ადამიანები იმიტომ კი არ არიან დაყოფილი უმცროს-უფროსებად, რომ ხელქვეითები ხელმძღვანელებს ემსახურონ. ხელმძღვანელის ბედი უნდა იყოს დამოკიდებული არა იმაზე, თუ როგორ მოაწონებს თავს მასზე უფროსს, არამედ როგორ ემსახურება ხალხს, რომელმაც იგი განადიდა და სახელმძღვანელო სკამზე დასვა. აი, ეს ყველაფერი უნდა მეთქვა... თუმცა რა საჭიროა ამის თქმა, როცა ეს თითოეულმა ჩვენგანმა შესანიშნავად იცის.

**პარმენი** – როგორ გაგვეპარა ღამე!

**სერგო** – ხომ გაგატარებინეთ დრო, გოგი?

**ვახტანგი** – (პირობისამებრ დილაადრიან ჩნდება) გაძლებაზეა?

**ბეგლარი** – მორჩი?

**ვახტანგი** – დავამთავრე.

**ბეგლარი** – აბა, ახლა შენ დაჯექი ამ სკამზე.

**ვახტანგი** – მაგ სკამზე რა მინდა, თუ, მაინცდამაინც, აგერ დავჯდები სუფრასთან, თუმცა წასვლის დროა, აბა, დაუჩქარეთ!

**გიორგი** – სად მივდივართ, ვახტანგ?

**ვახტანგი** – როგორ თუ სად, ხომ გითხარით, გენიალური ხაში გველის.

**ვიქტორი** – მე ვერ წამოვალ.

**ბეგლარი** – მეც განყოფილებაში უნდა წავიდე.

**ვახტანგი** – არ გადამრიოთ!

**პარმენი** – არც მე მცალია.

**ვახტანგი** – შენ სადღა გეჩქარება, პარმენ, ცხრა საათზე გეწყება სამსახური!

**პარმენი** – არ მიყვარს, ძმაო, ეს ხაში და დამანებე თავი!

**ვახტანგი** – ამ დილით რა ბზიკმა გიკბინათ?

**ვიქტორი** – ბზიკმა არა, მაგრამ ერთმანეთი კი დავჭამეთ.

**ვახტანგი** – ერთმანეთს რას ერჩით, კაცო, ხაშია ამ დილით შესაჭმელი.

**ბეგლარი** – არაფერში ილბალი რომ არ გაქვს, ჩემო ვახტანგ.

**ვახტანგი** – რაზე ამბობ ამას?

**ბეგლარი** – ამალამ მორიგე იყავი, თუ არა, ხომ მოგიწევდა ეს სკამი.

**ვახტანგი** – რა სკამია ასეთი, თანამდებობები ხომ არ დაგინაწილებიათ?!

**ვიქტორი** – დავანაწილეთ. ჯანიკო მაგალითად, ჭკუის მასწავლებელ მინისტრად დავნიშნეთ.

**ვახტანგი** – მე?

**ბეგლარი** – შენთვის არ დაგვრჩა პორტფელი.

**ვახტანგი** – ამას ჰქვია ძმაკაცობა! თუმცა ყველა მთავრობაშია თითო უპორტფელო მინისტრი. აბა, დაუჩქარეთ პატარა, ხაში ძმაო, მზის ამოსვლამდე უნდა ჭამო.

**გიორგი** – წავედი, სერგო.

**სერგო** – როდემდე დარჩები?

**გიორგი** – ვნახოთ.



**სერგო** – ალბათ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

**გიორგი** – არ ვიცი...

**სერგო** – რატომ არ იცი?

**გიორგი** – ამ ერთმა ღამემ ხომ არ შეგვაძულა ერთმანეთი? ისე ვშორდებით, თითქოს ერთმანეთთან შეხვედრის სურვილიც აღარ გვრჩება. ამდენი ვილაპარაკეთ, თანაც არაფერი გადაგვიწყვეტია.

**ვახტანგი** – გადამრევს ეს ხალხი! რა უნდა გადაგეწყვიტათ, ქეიფი გქონდათ თუ პლენუმი?!

**ჯანიკო** – ნეტავი ყველა პლენუმი ასე ტარდებოდეს!

**ვახტანგი** – მოიცა ვიქტორ... რა მოუვიდა!..

**პარმენი** – კარგად იყავით. ჩემი ნახვა თუ მოგინდებათ, ისევ იქ ვცხოვრობ.

**ბეგლარი** – გოგი, მე აუცილებლად გნახავ. აბა, დროებით.

**ვახტანგი** – გამაგებინეთ რა ხდება აქ?!

**გიორგი** – მე გაგაგებინებ.

**ვახტანგი** – შენ მაინც არ გამექცე, გოგი, რაც არ უნდა იყოს, სტუმარი ხარ.

**გიორგი** – არ გაგექცევი, მარტო მე არ მაქვს არაკეთილი საქმე ამ დილით. ჩვენ წავედით. ჯანიკო, ისე, რომ იცოდე, მე მართლა მომიკლავს ვეშაპი ოცდამეთექვსმეტე პარალელამდე.

**სერგო** – გძინავს?

**ჯანიკო** – არა, ვფიქრობ, როდის გაიყო ჩვენი გზები; როდის დადგინდა, რომ პარმენ კამკამიძემ ასოცმანეთიანი ხელფასით უნდა გალიოს ეს ცხოვრება, ვიქტორ ავალიშვილმა კი ვაჟიშვილს ავტომანქანა უყიდოს საშუალო სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით; როდის დადგინდა ეს, როცა ერთად ვსწავლობდით "ბაშიაჩუკს" და პითაგორას თეორემას, თუ კიდევ უფრო ადრე, გამრავლების ტაბულას ვიზეპირებდით?

**სერგო** – ჯანიკო, რატომ არ შეხვედი პარტიაში?

**ჯანიკო** – არ ვიცი... ალბათ, მართლა არასერიოზული კაცი ვარ.

**სერგო** – პარტიის წევრი რომ იყო, ჩემთან წაგიყვანდი სამუშაოდ.

**ჯანიკო** – შენ თუ გგონია, მაშინ ამდენ სიმართლეს გეტყოდი. მეც წავედი.

**სერგო** – როდის შეგხვდებით კიდევ ერთმანეთს აი, ასე, ყველანი, ერთად...

**ჯანიკო** – ალბათ, მხოლოდ მაშინ, როცა იმის შიში აღარ გვექნება, რომ ასეთი ღამე კიდევ განმეორდება. კარგად იყავი.

**სერგო** – სად მიდიხარ?

**ჯანიკო** – რედაქციაში, დღევანდელ ნომერში მინდა მოვასწრო ინტერვიუ გოგი ლეჟავასთან. ოცდაათი მანეთი კარგი ფულია, მანქანას ხარჯი აქვს, ძმაო.

**სერგო** – დარჩი.

**ჯანიკო** – ხომ არ ავჯობებდა, დამეწერა, რაც ამ ღამით აქ მოხდა, რუბრიკით – "როცა ქალაქს სძინავს". უცებ წარმოვიდგინე ჩემი რედაქტორის დაგრძელებული სახე, ეს რომ დავუდო მაგიდაზე.

**სერგო** – იქნებ მართლა დაგეწერა.

**ჯანიკო** – კარგი ერთი... თუმცა, ვინ იცის... ვნახოთ. წავიდე?

**სერგო** – წადი.

**ჯანიკო** – არ გეჭირდები?

**სერგო** – ძალიან მჭირდები, მაგრამ მაინც წადი. ცოტა ხანს მარტო ყოფნა მირჩევნია.

**ჯანიკო** – მაგრად იყავი. იცოდე, ყველაფერი მაინც შენ ხარ. შენ იცი, როგორც უნდა მოიქცე.

**სერგო** – შეიძლება ზოგჯერ იცი, როგორ მოიქცე, მაგრამ ვერ აკეთებ იმას, რაც გინდა.

**ჯანიკო** – გინდა ერთი ანეკდოტი გიამბო? კაცმა ექიმს შესჩივლა უძილობა მაწუხებსო. ექიმმა ჰკითხა... რა ჰკითხა? დამავიწყდა. ყველა ანეკდოტი ერთბაშად დამავიწყდა. ვილუპები, მგონი ერთ ღამეში მართლა დავსერიოზულდი.

*ფარდა*